პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 253 (18495) ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ავლენენ რეზერვებს

ჭიათურა. (საკ. კორ.). კალინინის სახელობის მაღაროთასამმართველოში სულ მალე დამთავრდება ახალი სამუშაო ველის მომზადება, საიდანაც წლიურად 100 ათას ტონა მანგანუმის მადნის მოპოვებას ვარაუდობენ. გარდა ამისა, მაღაროში გახსნეს სარეზერვო სანგრევები, სწრაფად მიმდინარეობს მოსაზადებელი სამუშაოები და თანდათანობით იზრდება მადნის მოპოვებაც.

რეზერვების გამოვლენამ და ამოქმედებამ საშუალება მისცა სამეოცეულს ვადამდე ეპატაკებინათ ქვეყნისათვის ათი თვის საწარმოო დავალების შესრულება.

კალინინელებმა წლიულს მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებს 150 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი მანგანუმის კონცენტრატი გაუგზავნეს. ამას ხელი შეუწყო სსრ კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

— ასეთი აღმავლობით არასოდეს არ გვიმუშავია, — გვითხრა საწარმოს დირექტორმა ს. კვარაცხელიამ. დავნერგეთ ბევრი სიახლე: სრულვყავით ტექნოლოგიური პროცესები მამდიდრებელ ფაბრიკაში, გავხადოდით მადნის გამოსავლიანობა, ავამაღლეთ კონცენტრატის ხარისხი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გამოშვებული პროდუქციის თითქმის ნახევარი საპატიო ხუთკუთხედით ეგზავნება მომხმარებელს.

ო. ნიქაბაძე.

ეს დღეები სოფლად

საიუბილეო წლის უხვი მოსავლის მიღებისა[illegible] სოციალისტურ შეჯიბრებაში [illegible] მატებებს აღწევ[illegible] ნის მშრომელები. [illegible] გამარჯვება იზეიმეს სახელოვანმა ბერეაელებმა, რომლებმაც საგეგმიზე 1145 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და მიჰყიდეს სახელმწიფოს.

წარმატებები აქვთ აგრეთვე საკვებმომზადებლებს. მათი უანგარო გარჯის შედეგად რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სილოსისა და სენაჟის დამზადების საგეგმო დავალებები.

ახლა ცხარე დღეები აქვთ მესინოდეებს. საქმე ის გახლავთ, რომ უამინდობის მიუხედავად კარგად მოვლილ სიმინდისა და სოიოს ყანებში უხვი მოსავალი მოიწიეს.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ახალი ხიბულის კოლეგიის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი შ. კემულარია), რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის, აბრეშუმის პარკის, ტუნგის, რძის, ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური ნაკისრი ვალდებულებანი. საკვებმომზადებლებმა გეგმის გადამეტებით დიდძალი სილოსი, სენაჟი და თივა დაამზადეს. ახლა კი მინდვრის მუშაკები სიმინდისა და სოიოს უხვ მოსავალს იღებენ და აბინავებენ. ისიც აღსანიშნავია, რომ სამარცვლედ ნათესი 250 ჰექტარის თითოეულ ჰექტარზე სახელოვანი მესინოდეები 50 ცენტნერზე მეტ სიმინდის მოსავალს იღებენ.

სარატოველთა თაოსნობის პასუხად ხოლეი მშრომელები იბრძვიან, რომ წლეულდელი მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ და დააბინაონ. („კომუნისტის“ კორ.).

ჩვენს ქვეყანაში

მუდამ მრავალი დამთვალიერებელი მყავს ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს, განსაკუთრებით ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმისათვის. ხალხმრავლობაა მუზეუმის დარბაზებში, დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს ის დარბაზი, სადაც მოწყობილია ექსპოზიცია „ხალხთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა“, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ.

საკლასის კორესპონდენტები გვატყობინებენ

● **მოსკოვი.** სახელმწიფო საჯარო საისტორიო ბიბლიოთეკაში გიიხსნა წიგნის და ილუსტრაციების გამოფენა „სიბჭოთა საზოგადოების ისტორია თანამედროვეთა მოგონებებში“. იგი ეძღვნება დიდი ოქტომბრის 65 წლისთავს. ექსპოზიციაში წარმოდგენილია დაახლოებით ათასი წიგნი, რომლებიც გამოუშვეს ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა გამომცემლობებმა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოგონებებს ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეების შესახებ.

● **დონეცკი.** დონეცკის ოლქის სოფელ ისკრის თვითმოქმედმა მსახიობებმა დღეს თანასოფლელები ახალ კულტურის სასახლეში გამართულ პირველ კონცერტზე მიიწვიეს. კულტურის სასახლის გახსნით დამთავრდა კოლმეურნეობა „ზარია კომუნიზმში“ კულტურული კომპლექსის შექმნა. აშკარად ველის მხარის მეურნეობებში ხუთასზე მეტი კლუბი და სასახლე მოქმედებს.

● **ფრუნზე.** სოციალ მოსავლის აღება დაამთავრეს ჩუის ველის მიწათმოქმედებმა. სამუალად ჰექტარზე მიღებულია დაახლოებით 12 ცენტნერი პაროსნები, ხოლო ცალეული მეურნეობებში — 20-25 ცენტნერი. ალობის დაჩქარებული გრფიკით და უდანაკარგოდ მოწყობაში მემინდვრეებს დაეხმარა იპატოვოელთა მეთოდისა და მოსავლის გაყოფით აღების ხერხის დანერგვა. ტიანშანისათვის ახალი ეზოსაცავლიანი კულტურა „ტკაცად ოკიდეს ფეხს მთის ხეობების მინდვრებში.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი ყოველ სამუშაო ადგილზე! დამკვრელური მუშაობა ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

საოქტომბრო ვახტი

საწარმოს სიმძლავრე ერთიორად გაიზრდება

ზნიური. (საკ. კორ.). აქაურ ტალეს წარმატებით იყენებენ ქიმიურ მრეწველობაში. „საქტალეს“ ზნიურის საწარმოს კოლექტივი დიდ საქმეს აკეთებს. თუ წინათ საწარმო წელიწადში მხოლოდ 5 ათას ტონა ტალეს ამზადებდა, ახლა ყოველწლიურად 20 ათას ტონა მზა პროდუქციის უგზავნის მომხმარებელს.

სსრ კავშირის შექმნის 60 და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 65 წლისთავისთვის მზადების დღეებში აქ ინატა შრომის ტემპმა. წარმატებით ვადამდე შესრულდა 9 თვის გეგმა. გამოშვებული 20 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ეს შარშანდელი წარმოების დონეს 5 პროცენტით აღემატება.

თავდადებული შრომის მაგალითს კომუნისტები იძლევიან. სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზე არიან გვიორგაზგამყვანთა ბრიგადირი ს. ქუმსიევი, მაღაროელთა ბრიგადირები გ. ბეკოევი და გ. მუშოაძე, გამმაგრებელი შ. ბეკოევი, შემფუთავთა ბრიგადირი ვ. გაბარაევა, მეწყისქვილე პ. ნეფარიძე და სხვ.

ამჟამად აქ რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარეობს, რის შედეგად ერთიორად გაიზრდება საწარმოს სიმძლავრე.

გ. თედეევი.

გზა გადავუღობოთ ციგრესების დანაკარგებს

ჯერ კიდევ არ ჩათავებულა რთველი ზვრებში, მეციტრუსეებმა კი უკვე დაიწყეს ახალი, არანაკლებ მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპანია — ხილის კრეფა. მიმდინარე წლის რთულმა ამინდმა დაღი დაასვა ციტრუსის ბალებსაც. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ შევასრულოთ დავალება — სამშობლოს მივცეთ 190 ათასი ტონა ციტრუსი. მწვავედ დგას პროდუქციის დანაკარგებთან ბრძოლის საკითხი.

როგორ დავეხმაროთ მიწათმოქმედ მოსავლის შენარჩუნებაში, ჭიაური გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში, როგორ გადავუღობოთ გზა დანაკარგებს? ესა და სხვა საკითხები განხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მონაწილეებმა.

თათბირზე შეეხნენ მეურნეობების, ტრანსპორტის, დამამზადებელი, საკავშირო ორგანიზაციების მუშაობის პრობლემებს. თათბირის მონაწილეებმა შეშფოთებით განაცხადეს: ბევრ პრობლემას შორის კვლავ ერთი, ალბათ, ყველაზე მწვავე პრობლემა დგას — რესპუბლიკის გარეთ ციტრუსების უკანონო გატანა.

თვალი გადავავლოთ ოქტომბრის ერთ-ერთი ბოლო დღის სტატისტიკას. გაგრაში დააკავეს ავტომანქანა „ნივა“, რომელსაც მართავდა სოხუმელი ბ. ყოლბაია. იგი ცდილობდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაეტანა 260 კილოგრამი მანდარინი. წყალტუბოს ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა ა. გურეშიძემ „ზილ-130“ მანქანით ვერ შეძლო 610 კილოგრამი მანდარინის გატანა. მარცხით დამთავრდა მახარაძის № 7 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლის თ. კუპრაძის ცდა „ივეკოს“ მარკის ავტომანქანით გაევლო საკონტროლო პუნქტი და გაეტანა 107 კილოგრამი მანდარინი. გუდაუთის რაიონის სოფელ აგარაკის მეცხოვრეი ა. გასპარიანი იმ დროს დააკავეს, როცა ცდილობდა გაეტანა 351 კილოგრამი მანდარინი.

იმდენი კითხვა: რას აკეთებს იმ ორგანიზაციების ადმინისტრაცია, სადაც მუშაობენ ეს ადამიანები? წესრიგის დამოყვანებთან ერთად ყველაზე მკაცრად უნდა დაისაჯონ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ყურადღებას იპყრობს ასეთი ფაქტიც: რეგისტრირებულია სხვა ქალაქების ავტომანქანებით მანდარინის გატანის შემთხვევები. მაშასადამე, ზოგიერთ მეურნეობაში, სადაც შესაფერებელია დისციპლინა, მოიკალთაფენ დამნაშავე ელემენტებმა. ყოლბაიას ხელს უწყობენ პროდუქციის დატაცებას.

თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს: პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების, სამინისტროების, უწყებების, მეურნეობების ხელმძღვანელების სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მეციტრუსეობაში საქმის ვითარებისათვის. ყოველი მთგანი პერსონალურად აგებს პასუხს მინდობილი სამუშაო უბნისათვის. და ამ უბანზე საქმის ვითარებისათვის პასუხი მკაცრად უნდა მოკითხონ.

ჯერ კიდევ 1974 წელს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიღო დადგენილება, რომელიც კრძალავს არა მარტო ციტრუსის გატანას, არამედ რესპუბლიკის ბაზრებში თავისუფალ ვაჭრობას. ციტრუსის რეალიზაცია დაშვებულია მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობის მეშვეობით.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ კანონის დარღვევის წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი ზომები უნდა მიიღონ. პროდუქციის ჩამორთმევა მისი გატანის ცდის ან ვაჭრობის დროს ამ პირებისათვის მეტად მსუბუქი სასჯელია.

მიწა საერთო-სახალხო საკუთრებაა, ხოლო ისა, ვინც მის ექსპლოატაციას ეწევა მოგების მიზნით, უფლება არა აქვს ისარგებლოს ამ მიწით.

თათბირზე ვაკარიტიკეს ტარასპორტის მუშაობაც. ხშირად ვაგონებს მოცდენის გამო ფუქდება გასაგზავნად გამზადებული პროდუქცია. გარდა ამისა რეფრიჟერატორების ნაკლებობა, მატარებლების მოძრაობის გრაფიკს დარღვევა იწვევს შეფერხებას და დიდ დანაკარგებს: ციტრუსს კი, ამ ძვირფას სამხრეთულ კულტურას მოუთმენლად ელით არა მარტო რესპუბლიკის მშრომელები, არამედ ქვეყნის ჩრდილოეთი რაიონების მეცხოვრენიც.

ამ სეზონში საკავშირო ფონდში უნდა გაიგზავნოს 110 ათასი ტონა ციტრუსი, საკსოფლდამზადების მუშაკებმა დასახეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ამოცანის შესრულებას. კერძოდ, უკვე დამზადდა რვა მილიონ 200 ათასი ყუთი. ყოველდღე ტარის მიწოდება აფხაზეთის სსრ-ს ტაციოდ გადასაცემი დარჩა წლის განმავლობაში დასამთავრებელი საცხოვრებელი სახლების 41,2 პროცენტი, საბინაო მშენებლობაში შეკმნილი ასეთი მდგომარეობა ძირითადად იმის შედეგია, რომ იანვარსა და აპრილში სამექანიზაციო ორგანიზაციებმა ვერ ამოქმედეს ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ხოლო თებერვალსა და ივლისში ვადაეცა უმნიშვნელო რაოდენობით. ფიქტობრივად საბინაო მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულდა ყოველი კვარტალის დამთავრებულ თვეში საქმესა-ტაციოდ გადაცემულ საცხოვრებელი სახლების ხარჯზე. ასეთი მდგომარეობა კი საბინაო მშენებლობაში ყოველწლიურად იქმნება, რადგან რესპუბლიკის ქალაქებში მშენებლობის ამ სფეროში დღემდე მთლიანად ვერ მოხერხდა ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის დანერგვა, მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილებისა და მითითებისა.

წლეულს სასკოლო მშენებლობის გეგმა შესრულდა, მაგრამ არ შესრულებულა საავადმყოფოებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების მშენებლობის გეგმები. კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე მთლიანად არ არის ათვისებული კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტები, კაპიტალურ მშენებლობაში ძირითადი ფონდების ამოქმედების შემდეგ მთავარი დასაგეგმავი და შესაფასებელი მაჩვენებელია სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობა. საიჯარო ორგანიზაციების მონაცემებით, სასაქონლო პროდუქციის 9 თვის გეგმა იანვარ-სექტემბერში არ შესრულებულა. ფიქტობრივად სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის დაახლოებით 60 პროცენტი უნდა მივიღოთ მეოთხე კვარტალში, რაც ძირითადად არარიტმული დაგეგმვის და ნაწილობრივ 9 თვის გეგმის შეუსრულებლობის შედეგია.

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაგეგმთავრებული მშენებლობის შეფერეცირებას და მის ნორმატიულამდე დაყვანას. 1980 წელს იგი ნაწილობრივ შემცირდა, ხოლო მარშან 3 პუნქტით გაიზარდა. ეს ტენდენცია წლეულსაც გრძელდება. იანვარ-სექტემბერში დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების გეგმები.

წლეულს, როგორც აღვნიშნეთ, შესრულდა საბინაო მშენებლობის 9 თვის გეგმა, მაგრამ მეოთხე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების 65 პროცენტი, საბინაო მშენებლობაში შეკმნილი ასეთი მდგომარეობა ძირითადად იმის შედეგია, რომ იანვარსა და აპრილში სამექანიზაციო ორგანიზაციებმა ვერ ამოქმედეს ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ხოლო თებერვალსა და ივლისში ვადაეცა უმნიშვნელო რაოდენობით. ფიქტობრივად საბინაო მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულდა ყოველი კვარტალის დამთავრებულ თვეში საექსპლოატაციოდ გადაცემულ საცხოვრებელი სახლების ხარჯზე. ასეთი მდგომარეობა კი საბინაო მშენებლობაში ყოველწლიურად იქმნება, რადგან რესპუბლიკის ქალაქებში მშენებლობის ამ სფეროში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის დანერგვა, მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილებისა და მითითებისა.

„კომუნისტის“ ეკონომიკური მიმოხილვა

დამაჯერებელი ფინიშისათვის

მიმდინარე წლის 9 თვეში რესპუბლიკაში საიჯარო სამუშაოთა, საბინაო და სასკოლო მშენებლობის გეგმები შესრულდა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესდა კაპიტალური მშენებლობის ისეთი მთავარი მაჩვენებლები, როგორიც არის ძირითადი ფონდების ამოქმედება, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება, სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, და სხვა. რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში 1982 წლის იანვარ-სექტემბრის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიღწეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებანი, გეგმის შესრულება მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით დამაკმაყოფილებელი არ არის.

ზემოხსენებულ პერიოდში ამოქმედდა 558 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 3 პროცენტით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ძირითადი ფონდების ამოქმედების 9 თვის გეგმა მხოლოდ 77 პროცენტით შესრულდა, რაც წლიური დავალების 36 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით დიდია ჩამორჩენა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე.

წლეულს მეორე და მესამე კვარტალებში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცემოდა ზუგდიდის ლითონკონსტრუქციებისა და მეტლის კირის ქარხნები, უნდა დასრულებულიყო მინერალური წყლების ქარხანა „უწერასა“ და ფაფართოვანის სამუშაოები. მაგრამ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის გეგმები არ შესრულებულა. გეგმები არ სრულდება მთელ რიგ სხვა ასამოქმედებელ ობიექტებზეც.

მართალია, სექტემბერში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების გეგმები მთლიანად არ შესრულებულა, მაგრამ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპი მაინც მნიშვნელოვანია, თუმცა ჯერ კიდევ მეინიშნება სახსრებისა და ძალების დაქსაქსვა, მათი თავმოყრა ყოველთვის არ ხდება სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან ობიექტებზე. მთელ რიგ ასამოქმედებელ ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ტემპი საკმარისი არ არის მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული და საგეგმო ვადების დასაცავად. ამის შედეგია, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ კონტროლზე აყვანილ მნიშვნელოვან ობიექტებზე (მთელი რაოდენობის 56 პროცენტი და ასამოქმედებელი ობიექტების 60 პროცენტი) იანვარ-სექტემბერში სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ კონტროლზე აყვანილი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მხოლოდ ყოველ მეორე ობიექტზე შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების გეგმები.

დამაჯერებელი ფინიშისათვის

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკი 60 წლისაა

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის 60 წლისთავს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც გაიმართა მოსკოვში კავშირის სახლის სვეტებიან დარბაზში.

პრეზიდიუმში იყვნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დიმიტიევი და ე. ტ. ნოვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მშენებლობის გამგეობის თავმჯდომარემ მ. ს. ზოტოვმა.

კრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მთელ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ ქვეყნის სამშენებლო კომპლექსის შემდგომ განვითარებას, ეფექტიანად და რუხეთის ბრძოლის ამოცანების გადაწყვეტას.

● ●

უფროს თაობათა ტრადიციებით

„80-იანი“ წლები: გეგმები და პერსპექტივები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების შესაბამისად“ — ამ თემის ეძღვნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა, რომელსაც რესპუბლიკის დედაქალაქში აწყობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი.

მორიგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა გაიმართა 3 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის სხდომათა დარბაზში. მოხსენება — აღუზარდოთ თაობა ახალგაზრდობა უფროს თაობათა საუკეთესო ტრადიციებით“ — გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ნ. ორკონიკიძემ.

კითხვას დაესწრო პარტიის ობიელისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე. (საქინფორმი).

„კომუნისტის“ ეკონომიკური მიმოხილვა

... ფინიშისათვის

ზემოხსენებულ პერიოდში ამოქმედდა 558 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 3 პროცენტით აღემატება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ძირითადი ფონდების ამოქმედების 9 თვის გეგმა მხოლოდ 77 პროცენტით შესრულდა, რაც წლიური დავალების 36 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით დიდია ჩამორჩენა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე.

წლეულს მეორე და მესამე კვარტალებში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცემოდა ზუგდიდის ლითონკონსტრუქციებისა და მეტლის კირის ქარხნები, უნდა დასრულებულიყო მინერალური წყლების ქარხანა „უწერასა“ და ფაფართოვანის სამუშაოები. მაგრამ აღნიშნული ობიექტების მშენებლობის გეგმები არ შესრულებულა. გეგმები არ სრულდება მთელ რიგ სხვა ასამოქმედებელ ობიექტებზეც.

მართალია, სექტემბერში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების გეგმები მთლიანად არ შესრულებულა, მაგრამ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპი მაინც მნიშვნელოვანია, თუმცა ჯერ კიდევ მეინიშნება სახსრებისა და ძალების დაქსაქსვა, მათი თავმოყრა ყოველთვის არ ხდება სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან ობიექტებზე. მთელ რიგ ასამოქმედებელ ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ტემპი საკმარისი არ არის მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმატიული და საგეგმო ვადების დასაცავად. ამის შედეგია, რომ ზემდგომი ორგანოების მიერ კონტროლზე აყვანილ მნიშვნელოვან ობიექტებზე (მთელი რაოდენობის 56 პროცენტი და ასამოქმედებელი ობიექტების 60 პროცენტი) იანვარ-სექტემბერში სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ კონტროლზე აყვანილი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მხოლოდ ყოველ მეორე ობიექტზე შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების გეგმები.

წლეულს, როგორც აღვნიშნეთ, შესრულდა საბინაო მშენებლობის 9 თვის გეგმა, მაგრამ მეოთხე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადასაცემი ობიექტების 65 პროცენტი, საბინაო მშენებლობაში შეკმნილი ასეთი მდგომარეობა ძირითადად იმის შედეგია, რომ იანვარსა და აპრილში სამექანიზაციო ორგანიზაციებმა ვერ ამოქმედეს ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ხოლო თებერვალსა და ივლისში ვადაეცა უმნიშვნელო რაოდენობით. ფიქტობრივად საბინაო მშენებლობის 9 თვის გეგმა შესრულდა ყოველი კვარტალის დამთავრებულ თვეში საექსპლოატაციოდ გადაცემულ საცხოვრებელი სახლების ხარჯზე. ასეთი მდგომარეობა კი საბინაო მშენებლობაში ყოველწლიურად იქმნება, რადგან რესპუბლიკის ქალაქებში მშენებლობის ამ სფეროში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ორწლიანი უწყვეტი დაგეგმვის დანერგვა, მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი დადგენილებისა და მითითებისა.

... ფინიშისათვის

... ფინიშისათვის

... ფინიშისათვის

... ფინიშისათვის



● **აშხაბადი.** მტკნარი წყლის უნივერსალ „საუნაოები“ აღმოაჩინეს თურქმენეთის ხაუზხანის ყამირ მასივში. წიდაში უკრესად მლაშე წყლების ზედაპირზე მცირე კაბურღილების მეშვეობით მიაგნეს მტკნარი წყლის ლინზებს, რომლებიც ყარაყუმის არხიდან და სარწყაე მინდვრებიდან გაეონილი გრუნტის წყლის დაგროვების შედეგად შეიქმნა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჰიდროგეოლოგებმა თურქმენეთში მტკნარი წყლის ოცზე მეტი ბუდობი გამოავლინეს.

● **ვოლკოგონსკი** (ვროზნოს ოლქი). ვოლკოგონსკის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში დაიწყო საყალიბე ნარეკის დამზადებისათვის საჭირო მანქანების სერიული წარმოება. მთლიანსხმული ფიტულების შენადეგი დეტალები შეიცვლის ეროსებით აგრეგატების წონა წინანდელზე ორჯერ ნაკლებია, მწარმოებლობა კი 20 პროცენტით მეტი.

● **ბაქური.** (ჩუჩხა ავტოხოლმეური ოკრუეგი). არქტიკის აღმოსავლეთ რაიონში დღეს დაუშვეს ნაიგაციის ალაში. დიზელ-ელექტრომავალმა „ვანკარემმა“, რომელმაც ჩუკოტკის მეშახტეებს ტექნიკა ჩაუტანა, გამოსათხოვარი საყვირით დატოვა პევეკის ნავსადგური ალაგტორია და კურსი ვლადივოსტოკისაკენ აიღო. აღმოსავლეთ ციმბირის ზღვის მძიმე ყინულებში მას გზას უკვლავს ყინულმჭრელი „ერმაკი“.

ახალი ურენგოი — ტიუმენის გაზის მრეწველობის მუშაკთა დედაქალაქი, ამ ბოლო წლებში აშენდა და გაიზარდა მუდმივი გამყინვარების მხარეში. ახლა ამ თანამედროვე ქალაქს ამშვენებს მრავალსართულიანი სახლები, პროსპექტები, ქუჩები, მოედნები, სპბავშვო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო კომპლექსები. ახალი ურენგოის მოსახლეობა სწრაფად იზრდება, ქალაქის მცხოვრებნი გეოლოგები და მბურღავები, მემონტაჟეები და ტრანსპორტის მუშაკები, მშენებლები აქ მოვიდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარიდან, რათა შეიქმნათ ძლიერი სათხმო-ენერგეტიკული კომპლექსი.

აქედან გაზს მიიღებენ მაგისტრალური გაზსადენები და ურენგო-უფგოროდის საეკსპორტო გაზსადენი.

სურათზე: ქალაქ ახალი ურენგოის შესახვედელთან.

ამ ოცდახუთიოდე წლის წინათ მოვიდა სსრ კავშირის მცირე თეატრის დასში იური სოლომინი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ დასში მიიღეს მისი უმცროსი ძმაც ვიტალი სოლომინი.

სხვადასხვა დროს ორივენი სწავლობდნენ მცირე თეატრთან არსებულ მ. ს. შეპკინის სახელობის თეატრალურ სასწავლებელში. ამ ხნის მანძილზე ორივე ძმამ მრავალი საინტერესო როლი შეასრულა, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე დრამატურგიაში. იური და ვიტალი სოლომინებს კარგად იცნობენ კინომაყურებლებიც, თითოეულმა მათგანმა 30 ფილმში მიიღო მონაწილეობა.

სურათებზე: რუხეთის სხვრ სახალხო არტისტი ი. სოლომინი და რუხეთის სხვრ სახალხო არტისტი გ. კირიუშინა სპექტაკლში „მეფე თეოდორ იოანეს ძე“; მცირე თეატრის მსახიობები ე. ცალკოვა და რუხეთის სხვრ დამსახურებული არტისტი ვ. სოლომინი რეპეტიციის შემდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამგლოვიარო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 43 წლის განდაცვალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცხინვალის ქალაქის „ემალსადენის“ მემანქანე

ფატიმა ნიკას ასული ბასიევა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრებიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

რესპუბლიკის პირველადს პარტორგანიზაციებში დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. კომუნისტთა დიდი სჯა-ბაასი შეეხო ზეეხი შრომისა და ყოფა-ცხოვრების მრავალფეროვან, აქტუალურ საკითხებს, თითოეული შრომითი კოლექტივის საქმიანობაზე, ეკონომიკისა და კულტურის ყველა უბანზე პარტიული გავლენის გაძლიერების ამოცანებს. კრებებზე განხოლადდა ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის დადებითი გამოცდილება, აგრეთვე გამომზეურდა ბევრი ნაკლი, შეცდომა, უინიციატივო, უგულგილო მუშაობის ფაქტები. კომუნისტებმა ახალ საანგარიშო პერიოდში უკეთ მუშაობისათვის კონკრეტული განაწესებენ ნაუყენეს ახალარჩეულ პარტიულ ორგანოს, მდივნებს.

ამ გვერდში მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე საანგარიშო-საარჩევნო კრების ანგარიშს.

კონვეროლგე

ძღიეგრი

საანგარიშო პერიოდში თბილისის პირველი მაისის სახელობის საკერვალო ფაბრიკის ერთ-ერთი საამქრო პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, კონტროლის სხვადასხვაგვარ ფორმებზე რომ ლაპარაკობენენ, ერთმა კომუნისტმა თქვა: ვისიმე ზედამხედველობა რატომ უნდა გვქონდეთ, ყველაზე უკეთესი კონტროლი საკუთარი სინდისია. კომუნისტის გამოხვლა თანამოხაქმეებმა მოიწონეს და გადაწყვიტეს ნათქვამი ფენომენად ექციათ — ისე ვიმუშაოთ, რომ ჩვენს ნამუშევარში ვერავითარმა კონტროლმა წუნი ვერ აღმოაჩინოს, — თქვეს. შემდეგ ამ წინადადებით სხვა საამქროთა კომუნისტებიც დაინტერესდნენ.

ეკონომიკის სერიოზული რეზერვი

ეტმთა ცნობილმა დრამატურგმა, საწარმოო თემაზე პიესის რომ წერდა და წარმოების სფეროს უფრო ღრმად გაეცნო, თქვა: „დარწმუნებული ვარ, საქმიანი ცხოვრების ზნეობრივი დონის ამაღლება ჩვენი ეკონომიკის სერიოზული რეზერვიაო."

ეს გამონათქვამი იმდენჯერ გამახსენდა, რამდენჯერაც პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის სხვადასხვა საამქროს კრებებზე სხვადასხვა, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკით სრულიად განსხვავებული ადამიანები სამუშაოსადმი დამოკიდებულებას შეეხნენ. ერთი და იგივე საკითხი მრავალგვარი რაკურსით განიხილეს იმ დღეს, მაგრამ იყო ერთი, რომელსაც ვერც ერთმა გამომსვლელმა ვერ აუქცია მხარი. ეს არის უმიზეზო გაცდენა-დაგვიანებები.

„სამუშაოს ყველაზე მეტი უმიზეზო გაცდენები ჩვენს საამქროზე მოდის", — თქვა ეკსპერიმენტული საამქროს პარტიული ბიუროს მდივანმა ნ. ხუციშვილმა და ეს სიტყვები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად თითქმის ყველა სიანგარიშო მოხსენებაში განმეორდა. ესე იგი სენი სერიოზულად არის გამჯდარი საწარმოს (და არა მარტო ამ საწარმოს) ცხოვრებაში და ამიტომ კომუნისტებსაც მომავალი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დარტყმის მთავარ წერტილად ეს პრობლემა მიაჩნიათ. „უმიზეზო გაცდენა, ერთი-ორი საათით დაგვიანება, სამუშაოდან ადრე წასვლა" — ამ, ერთი შეხედვით, უწყინარი ფრაზების მიღმა დაკარგული ათასეული, ათასობით მანეთის საკრნელი დგას, რომელიც მომხმარებელს უნდა მიეღო და ვერ მიიღო.

მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ერთი წუთის დაკარგვა 200 ათასი კაცის ღღის" გაცდენაა, ხოლო ფაბრიკის მასშტაბით ერთი საათის გაცდენა თერთმეტი ათასი მანეთის პროდუქციის დანაკლისია. აი, რა სურათს ხატავს ელემენტარული ეკონომიკური ანგარიში.

დაკმარებული საქმისადმი დამოკიდებულება, რასაკვირველია, მხოლოდ სამსახურში ფრონზე მოსვლა-წასვლით არ ვლინდება. მთავარია კიდეე, თუ როგორ ასრულებ იმ საქმეს, რომელიც გაგაანდა, რაშიც გამამჯელს იღებ — ეი საკითხი, რომელზეც არანაკლები სიმწვავით იმსჯელეს ფაბრიკის კომუნისტებმა.

—საუკეთესო ნაწარმი რომ გამოვუშვათ, ამისათვის საჭიროა ყველამ კეთილსინდისიერად აკეთოს თავის საქმე, — თქვა № 2 საამქროს პარტიულის მდივანმა მ. მგელაძემ საანგარიშო მოხსენებაში.

მისგან დამოუკიდებლად ეს აზრი სხვა საამქროთა კომუნისტებმა განავითარეს თავიანთებურად:

თ. ჩოხელი, № 5 საამქროს ცელის უფროსი: უდიფექტო მუშაობისათვის ხელფასს 10 პროცენტი ეძატება. ჩვენი მუშები ამას თითქმის არასოდეს ღებულობენ (ფაქტი თავის კომენტარს თავადვე აკეთებს).

ლ. ბიზიაშვილი, საგამმჭრელო საამქროს პარტბიუროს მდივანი: საანგარიშო პერიოდში პარტიულ კრებებზე არაერთხელ ვისმენეთ ამ მტკივნეულ პრობლემაზე. სხვა გზა რომ აღარ რჩება, უკიდურეს ღონისძიებასაც მივმართავთ ხოლმე, იყო შემთხვევები, როდესაც პარტბიუროს წინადადებით წუნისმკეთებლეს პრემიები მოეხსნათ.

როგორც ეტყვიან, უკან დასახვევი გზა არ არსებობს. დახლზე საუკეთესო ხარისხის საქონელი უნდა იდოს. მომხმარებელმა არ იცის უხარისხო პროდუქციის გამოშვების მიზეზი — ეუდი მომარაგება, უკარგესი ნედლეული, მაქანათ-დანადგარების ნაკლებობა თუ სხვა რამ. მას კარგი საქონელი სურს და უნდა მიიღოს კიდეც.

— აბა, ვინ იყო დამნაშავე იმაში, შარშან წუნიანი ვილეტების შარვალი რომ გამოვუშვით, — თქვა საგამამჭრელო საამქროს უფროსმა ოსტატმა, კომუნისტმა თ. ჭირდიკაშვილმა, — ამჯერად არც ნედლეული და არც მანქანა, ჩამბახი ველი და კონტროლიორი ტყუოდნენ.

ასეა. ერთი და იგივე საქმე, სხვადასხვა ხელით გაკეთებული, სულ სხვადასხვაგვარად გამოიყურება. ადამიანის ზნეობრივი სახეც ყველაზე მეტად შრომისადმი მის დამოკიდებულებაში ჩანს. და ეს კარგად ეწყობა ფაბრიკის კომუნისტებს.

რა ღირს არწუენინებაზ?

ყველაზე მეტი გამცდენი ჩვენ საამქროშიაო, — თითქმის ყველა საამქროს პარტორგანიზაციის კრებაზე გამეორდა ეს ერთი ფრაზა. დიახ, გაცდენები მეტ-ნაკლებად ყველგან შეინიშნება. ყველა კი აქცენტს თავის ბრიგადაზე აკეთებდა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ასე სწამთ — ჯერ თვითკრიტიკა, მერე კრიტიკა. ჯერ საკუთარ ნაკლს ამჩნევენ და ამბობენ, მერე სხვისს.

— პარტიული ბიუროსაგან უფრო მეტს მოვითხოვთო, — № 5 საამქროს კრებაზე კომუნისტ თ. ფოცხვერაშვილს ზოგადი ნათქვამი იმავე კრებაზე გამომსვლელმა ე. აღუთაშვილმა დააკონკრეტა: პარტიული ბიურო უფრო მეტ მომთხოვნელობას უნდა იჩენდეს თითოეული კომუნისტის მიმართო.

ექსპერიმენტულ საამქროშიც იგივე აზრისანი არიან — პირუთვნელი, სამართლიანი კრიტიკა საწყენი არ უნდა იყოს. პირიქით, ეს ყოველთვის წაგვადგება საქმეში. ეი ბარიდან მიღებული აუგი, რეკლამაცია, საყვედური საწყენია არის და გულსატკენიც.

— ამიტომ უმჯობესია აქვე მიკუთვნთოთ ერთიმეორეს ნაკლზე, — თქვეს № 1 საამქროს პარტბიუროს მდივანმა წ. სადუნაშვილმა, აგრეთვე № 3 საამქროს პარტბიუროს მდივანმა თ. ლომაზოშვილმა, — ყოველთვის კი ვიქცევთ ასე? დასაბუთ კითხვას თავადვე უპასუხეს კომუნისტებმა: არა, ყოველთვის არ ვიქცევთ ასე. ვითომ ერთმანეთის გუნება-განწყობილებას ვუფრთხილდებით? მაგრამ ვის ხარჯზე ხდება ეს არწყენინება? რა ჯდება საბოლოო ანგარიშით ეგი? ამ კითხვაია პასუხი აქ ყველამ იცოდა — წუნი, რეკლამაცია, უკან მობრუნებული გაუსაღებელი პროდუქცია.

კომბინატის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა. ყველაზე მეტვიმეტყველური ფაქტი კი მაინც ის არის, რომ უკვე ოცდამეეთრე კვარტალია, რაც ფაბრიკის კოლექტივი საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების უცვლელი გამარჯვებულია.

აი სწორედ ამგვარი წარმატებების ფინზეა ის კრიტიკა თუ თვითკრიტიკა უფრო მეტად მოსაწონი და მისასალმებელი, რომელიც საამქროო ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე სუფევდა.

თბილისურია? საუკეთესოა!

კრებებზე კიდევ სატკივარზე იყო ლაპარაკი — ი ობიექტურ მიზეზებზე. რომელთა დაძლევა ბევრ ფარულ რეზერვს აამოქმედებდა და კიდევ უფრო გაამავლებდა საწარმოს წარმატებებს.

„ყოველგვარ საქმეში მთავარი დასაწყისიაო", — კ. მარქსის ეს სიტყვები მოიყვანეს № 1 საამქროს კრებაზე. როგორ ეხედვით კოლექტივში ახალმოსულ ახალგაზრდებს, როგორ ვეუოლვთ პირველსაქმის სიძნელეს? — თქვა პარტბიუროს მდივანმა, — ზოგჯერ ამაში ჩვენც ვცოდავთ ხოლმე, მაგრამ მაინც მთავარი დამნაშავენი ბიმში, რომ მუშები მოდიან და ისევ მიდიან და არც ბიმში, რომ ეს წესვლა-მოსვლა ბმიმე ტემირად აწევება საწარმოს, ჩვენ არ ვართო.

მუშათა კადრებით საწარმოს 43-ე პროფტექნიკური სასწავლებელი ამარაგებს, მაგრამ, ეს მომზრაგება, როგორც № 5 საამქროს უფროსმა, კომუნისტმა ე. არეგაძემ აღნიშნა, ამ შემთხვევაში პირობითი ცხენია. ამასთან მან ისიც თქვა, რომ შარშან საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც ილაპარაკა ამ პრობლემაზე, დადგენილებამაც ისაბამა მისი მოგვარება, მაგრამ ამ კომეთნისტი ამ საკითხს ერთი წლის შემდეგ ისევ უბრწყდება. შარშან მიღებული 66 კუოსდამთავრებულიდან მხოლოდ 26 მუშაობს ამჟამად საამქროში.

მან თქვა, რომ ზოგჯერ პროფტექნიკური სასწავლებლები დროებითი თავშესაფრის როლს უფრო ასრულებენ, ვიდრე მომავალი კვალიფიციური მუშის მომზადებისაო. საწარმოს კი, რომელიც ყოველ სტუდენტს 70 მანეთი სტიპენდიის ნაწილს უხდის, ეს მუშახელი ბევრ

სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა

1982 წლის 2 ნოემბერს მოსკოვის დროით 16 სათსა და 22 წუთზე „პროგრეს-16" ავტომატური სატვირთო ხომალდი შეუპირაპირდა „სალუტ-7"-„სოიუზ-ტ-7" ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსს.

კოსმოსური აპარატების ერთიერთძიება, დაახლოება, მიდგომა და შეპირაპირება სრულდებოდა ფრენის მართვის ცენტრიდან კომანდებით და სპბორტო ავტომატიკის მეშვეობით. მიდგომისა და შეპირაპირების პროცესებს კოსმონავტები ბერეზოვი და ლებედევი. სატვირთო ხომალდი სადგურს შეეპირაპირდა მისი საგარეგანტო ნაკეეთილის მხრიდან.

„პროგრეს-16" ხომალდზე ... ბიტაზე ... ...

ქართული პროზის რაინდი

„ნიკო ლორთქიფანიძე იყო პირველი კვალის გამკვლეველი შეოცე საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ყამირზე. მისი შემოქმედების ბრნყინვალე გამარჯვების ჩუმი შეგნების ია და ვარდი უნდა იყოს მოფენილი ამ ქვეყნიდან მისი უკანასკნელი გადასვლილი მარადისობის ნაირში“.

ლეო ქიაჩელი.

ეპეპ, ცოტა არ იყოს, უცნაურად ძღერდეს და კაცს ყურსა სჭრდეს ამ სიტყვა **ყამირი,** ისიც მეოცე საუკუნის დასაწყისზე ნათქვამი, ქართული პროზის მდიდარი, თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის შემდეგ. მაგრამ ლეო ქიაჩელის ამ ფრაზას აქვს თავისი ღრმამაზროვანი ლოგიკა: ყოველ გზაფხულზე მიწა ხელახლა უნდა მოიხნას და ყველაფერი ისევ თავიდან უნდა დაიწყოს; მარტო ბუნებასა და მინდორში კი არა, მწერლობაშიც ასეა. ასე მოიქცნენ მეთვრამეტე საუკუნის პოეზიაში დავით გურამიშვილი და პროზაში — სულხანსაბა, ასევე შეიტანეს გარდატეხა მეცხრამეტის დასაწყისის პოეზიაში. რომანტიკოსებმა, რომელთა შორის პირველი ნოვატორი ბარათაშვილი იყო; ასე ხელახლა გადახნეს ყამირი მათს შემდეგ თერგდალეულებმა და მათმა მეგობრებმა — ილიამ, პირველად ქართულ ენაზე რომ ახსნეს სიტყვა რეფორეოტიკა და თან დასძინეს — მკითხველო, ამ სიტყვამ არ შეგაშინოს, რეფორეოტიკა იმისთვისაა არის ბაჯერული, რომ შვიდობიანობა მოაქვსო. ასე მოდოდნენ თაობები და ახალ ნერგს ამყარობდნენ ძველსა და ლონგინერ ფესვებზე, და ამასობაში მიწურა მეცხრამეტე საუკუნე და დაიწყო ახალი ხანა ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც.

ეს იყო ფრიად მღელვარე ეპოქა: რუსეთის პირველმა რეოლუციამ მძაფრად შეარყია თვითმყრობელური წყობილება, საფუძველთა საფუძველები, შეარყია ისე, რომ თუმცა რეოლუცია დამარცხდა, ძველ რეჟიმს აღარ ეწერა ხანგრძლივი სიცოცხლე, მისი დღეები თუ არა, წლები დათვლილი იყო. ამას ყველა გრძნობდა, და, გრძნობდა პირველ რიგში წყნარლობა, რომელსაც უკვე ესმოდა შორეული გუგუნი მოახლოებული ქარიშხლისა; რეალიკის მძაფრი შემოტევების მიუხედავად, და მის საპირისპიროდ, ძალას იკრებდა ხალხიც და ყოველივე ეს არა მხოლოდ გამოხატულებას პოულობდა მწერლობაში, არამედ, თავის ეზრივ, თვითონ მწერალი სთესავდა ბრძოლისა და ამბოხების თესლს, მოუწოდებდა ეერგბსა და ხალხებს თავისუფლებისაკენ. ყველა ვრძნობდა, თუ რა რთული და მღელვარე დრო დგებოდა, გრძნობდა ამას რეჟი მწერალიც და ქართველიც, რომელსაც კარგად ახსოვდა ანდერძი ილიასა — **ეროვნებაკავალისა** — მწვავე სოციალური და ეროვნული ტკივილების მორჩენა „თანამედროვე საუკუნემ უანდერძა ამ მოშავალ მეოცე საუკუნესო“.

დიდი გატაცებით დაიწყო მეოცემ ეს საქმე და როგორც ვთქვით, ლიტერატურაც აპყვა მას, ეს იყო საერთო იდეური ფუძე, საერთო ნიადაგი მწერალთა იმ ახალი თაობისათვის, რომელიც სამოქმედო ასპარეზზე პირველი რეპოლუციის შემდეგ, 1910-იანი წლებისათვის გამოვიდა; ამ წლებში იწყებენ თავიანთ მოღვაწეობას ის მწერლები, რომელთაც შემდგომში იტყვრთეს ეერთეული საქმე— სათავე დაუდეს ახალ ეტაპს ლიტერატურაში და ახალი სიტყვა თქვეს, ხოლო რეოლუციის შემდეგ დაადუძნეს ქართული საბჭოთა ლიტერატურა. ეს პირველი ფოტქმოდელები სწორედ ათიან წლებში იწყებენ მწერლობას, და მათ შორის, ერთი უბრეველესი ადგილი ეჭირა ნიკო ლორთქიფანიძეს.

ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნიკო ლორთქიფანიძე წარსულის ტრადიციებთან, და, იმავე დრის, ოკი ჰკვალად ახალ ბილიკებს; მისი სიტყვა ახალი იყო, თითქოს ნაენობიც და უცნობიც. ვნახოთ, რაში მდგომარეობდა ეს სიახლე.

ჟანრული ლიტერატურის ისტორიაში ნიკო ლორთქიფანიძის სახელი თავიდანვე დაუკავშირდა ქართული იმპრესიონიზმის წარმოშობას, წლეულს ეს საკითხი ერლვ აღიძრა ჩვენს პრესაში. მხედველობაში მაქვს სერგი ეილაიას წერილი „ქართული მოთხრობის ოსტატი“ („ლიტერატურული საქართველო“, № 18, 19) და ნოდარ ეკაკაძის „ნიკო ლორთქიფანიძე და იმპრესიონიზმი“ („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1)

იმპრესიონიზმს საოკარი ბედი ხვდა წილად მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. წარმოშობისთანავე მან მძაფრი თავდასხმები განიცადა, იგი არაერთგზის გამოაცხადეს უიდეო



ნიკო ლორთქიფანიძე.

მხატვარი ი. შარლემანი.

მწერალი და ეპოქა

იგი ყველაზე ძლიერად; ამრიგად, იმპრესიონიზმი იგივე რეალიზმი იყო, თანაც, ის როდი იყო მოქცეული ამა თუ იმ ეპოქის ვიწრო ფარგლებში; ასე, მაგალითად, ჩრდილდ პაუზრი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ლიტერატურაში იმპრესიონიზმის ყველაზე ჭეშმარიტი ოსტატი ჩეხოეი არსონ, ხოლო ბრიუნეტიერი ასევ ოსტატად მიიჩნევდა ალფონს დოდეს, რიპარდ ჰამანი კი იმპრესიონიზმის შორეულ საწყისებს პოულობდა გოეთეს, რემბრანდტის და ბეთჰოვენის ქმნილებებში. რუსი მკვლევარი ა. ჩეგოდაევი თავის „წერილი „იმპრესიონისტების ხელოვნებაზ“, წერს:

„ის ახალი, რაც ედუარდ მანემ მოუმატა თავის წინამორბედ ფერმწერლებს, ძალიან ჰგავს იმას, რაც ჩეხოვმა მოუმატა ტოლსტოის. ეს ამბავი ოდნავადაც არ ამცირებს არც ერთსა და არც მეორეს. ეს იყო მხატვრული განვითარების ახალი უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც სხვადასხვა ტემპით თავს იჩენდა და იქმნებოდა მოვლენათა უაღრესად ფართო-ფრწყინა და არა ერთადერთ ვიწრო მხატვრულ ჯგუფში“.

მაპატოს მკითხველმა ეს მცირეოდენი გადაჭვავა, მაგრამ არ შეიძლება ორიოდე სტეყვა არა ვთქვა ტოლსტოის დამოკიდებულებაზე იმპრესიონიზმისადმი; ჩვენი საკითხის გარკვევისათვის ეს ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ლევ ტოლსტოის, რუსული კლასიკური რეალიზმის ბუმბერაზსა და გენიალურ ოსტატს, ჭირისფდისადი სძულდა დასავლეთევროპელი ლიტერატურის მოდურნისტული მიმდინარეობანაბი; სამი ექიადე იყო მისული, რომ ტოლსტოი იმპრესიონისტების სახელებს ირონიის ვარეშე არც ახსენებდა. მაგრამ მოხდა საოკარი ამბავი — ტოლსტოიმ წაიკითხა ჩეხოვის მოთხრობები და ადამიანის სულის ამ მისანმა ბერძენ რადაც ახალი, უცნაური და მიმხიბველი; სწორედ იმ ხანებში იასნია პოლიანაში სტუმრად ჩასულ პიანისტს ალექსანდრე გოლდენვეზერს, რომელიც ზუსტად იწერდა დღიურში ბრძენ მოხეკის ყოველ სიტყვას, ტოლსტოიმ უთხრა: „ჩეხოვმა და საერთოდ ბეგრმა ახლადელმა მწერალმა გაანავიორეს რეალიზმის არაჩვეულებრივი ტექნიკა, ჩეხოვი მთლიანად მართალია, თვით ილუზიებშიც კი. „მისი მოთხრობები სტერეოსკოპის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ის თითქოს უბრალოდ გადმოადგენს ხოლმე სიტყვას და როგორც მხატვარი-იმპრესიონისტი თავისი მონასმებით აღწევს განსაკვირებელ შედეგებს“.

რა არის ეს? აზნისტია იმპრესიონისტების მიმართ? რის ამნისტია, გზა დაუღია ტოლსტოიმ ახლის გამოჩენას; „ჩიბნებულია ბუნების აღწერა — აი, წვიმს, — და ეს ისეა დაწერილი, რომ ტურგენევი ასე არ დასწერდა, ჩემზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო“. ტოლსტოიმ ეს სიტყვები ბუნების მოთხრობის წაკითხვის შემდეგ თქვა; და ყოველივე ამას, იმ ამბავს, ლიტერატურაშია“. შემდეგ: „საუბარი იყო ჩეხოზე. ველაპარაკებოდი რა ჩეხოზე ლაპარეესკის, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მან, როგორც პუშკინმა, წინ წასწია ფორმა. და ეს დიდი დამსახურებაა“.

ყველაფერი ეს არა მარტო ნათელ შუქსა ჩაეს საერთო ვითარების იმპრესიონიზმის წარმოშობისას, არამედ თვით ამ მიმართულების შინაარსსაც განმარტავს — აქ ჩვენ ეგზეგზეტიკაზე „თამამად დადებული ლაქები“, „სტერეოსკოპის შთაბეჭდილ ება“, „ახალი ხილვა“ და ა. შ.

აი, ქვეყნის ამგვარი ხილვის ბრწყინვალე და ობადლო ოსტატი იყო ნიკო ლორთქიფანიძე. იმპრესიონიზმს იგი ეზიარა ავსტრიაში ყოფნის წლებში, მაგრამ მან „ეს **მხატვრული კონცეფცია**“ დაამყარა ქართულ ფეხსვეზზე და სამყაროსაც ქართული თვალებით შეხედა. ხოლო ოდენ ეს ეს ეროვნული ფერებიც ეროვნულ ეროვნულ ეროვნულ

მშენებლების ფინანსური თვალი

ფინანსური წლის 28 ოქტომბერს შესრულდა ჩვენი ქვეყნის საკრედიტო სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლის — კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების საკავშირო ბანკის შექმნის 60 წელი.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსებების, გრძელვადიანი დაკრედიტების სისტემისა და ამისათვის აუცილებელი სბანკო აპარატის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სახეობრივ ეკონომიკის სახელმწიფოს, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მიღწევებთან.

სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელების ლონისძიებანი ითვალისწინებდა სასაქონლო ფულადი ურთიერთობის გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი იყო ახალი, სოციალისტური ტიპის ბანკების შექმნა. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სბანკო სისტემას როგორც საერთო-სახელმწიფო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების, წარმოება-განაწილებისადმი კონტროლის აპარატს. „იგი ბაზრასთან მიუთითებდა, რომ უმსხვილესბანკებად სოციალიზმი გამუშორაციელნელი იქნებოდა.

რკპ (ბ). ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 20 იანვრის დადგენილება ითვალისწინებდა მოკლე დროში მრეწველობის ბანკის შექმნას, რომელსაც დაეკისრებოდა მრეწველობისათვის გრძელვადიანი სესხების მიცემა. **ამავე** წლის 28 ოქტომბერს, „საკვლევ საზოგადოების სახით, მრეწველობის ბანკმა დაიწყო თავისი ოპერაციების შესრულება. მისი აქციები განაწილდა სპარეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა შორის. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ბანკის მიერ განხორციელებული საკრედიტო ოპერაციები ხელს უწყობდა ეკონომიკის სოციალისტური სექტორის ზრდას და კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრას.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, როგორც პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებამ მოითხოვა კაპიტალურ დაბანდებათა სწრაფი ზრდა. ამიტომ 1926 წელს ბანკის შემადგენლობაში შეიქმნა გრძელვადიანი კრედიტის განყოფილება, რომელიც ახორციელებდა მრეწველობაში საკუთარი სახსრების ამბილიტაციას, მიმართავდა მათ კაპიტალურ მშენებლობაზე და სისტემატურ კონტროლს უწევდა მათს მიზნობრივ გამოყენებას. 1928 წელს განხორციელდა საკრედიტო სისტემის სრულყოფა — მრეწველობის ბანკის გრძელვადიანი კრედიტის განყოფილების და ელექტრობანკის ბაზაზე შეიქმნა მრეწველობისა და ელექტრომეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკი.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის განხორციელების წლებში კაპიტალური მშენებლობის სწრაფმა ზრდამ მოითხოვა დაფინანსების ისეთი სპეციალიზებული ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საკრედიტო სისტემის ერთიანობას, კაპიტალური მშენებლობისათვის გაცემული სახელმწიფო სახსრების მიზნობრივ გამოყენების და მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშის დანერგვას. ამ მიზნით 1932 წელს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა გრძელვადიან დაბანდებათა სპეციალიზებული ბანკი და მათ შორის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კაპიტალურ მშენებლობათა დაფინანსების ბანკი. ამით ბანკმა შეწყვიტა თავისი საქმიანობა, როგორც საკქცთა საზოგადოებამ ბანკად ჩამოყალიბდა, სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა. ბანკი ეფექტიანობის ამაღლებას, მშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას.

XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანად გვისახავენ მშენებლობის ძირეულ გაუჯობესებას. ამისათვის აუცილებელია საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების უკეთ გამოყენება. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოთ ძირითად ფონდებისა და საწარმოო სიძლავრეების დროულ ამოქმედებას. თავი უნდა მოვუყაროთ კაპიტალურ დაბანდებებსა და პროდუქციურ რესურსებს უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, შეჭდეულთან ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობა. უნდა გავაუქმებისთან სპარეტ-სპარპროდუქციურ საქმე, სრულყოფთ სამშენებლო სამეშოთა წარმოების საიჯარო და სამეურნეო ზრახები.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მეკანიზმის სრულყოფის პირობებში ყოველი სამშენებლო ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების ძირითად მაჩვენებლად გვევლინება პროდუქციის გამოსაშვებად ან მომსახურების გასაწევად მომზადებული და შეძავეთთანადოვნ ჩასაბარებელი საწარმოო სიმძლავრენი და ობიექტები. ამიტომ მშენებარეს ყოველი დაწესებულებას ამოცანაა გაამლიერონ სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის — ამ უმნიშვნელოვანესი საგეგმო მაჩვენებლის შესრულების კონტროლი. შეიცავა შემკვეთი და საიჯარო ორგანიზაციების დამოკიდებულება კაპიტალური მშენებლობის გეგმების შედგენის მიმართ. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებსა და სამშენებლო-სამონტაჟო-საინჟინერიო დოკუმენტაციის, სამშენებლო დაპროექტების ნორმების შემოწმების შედეგად მეათე ხუთწლეულში გამოვლინდა 19,6 ათასი ტონა ლითონის არასწორი ხარჯვა, მიღებულია ბანკის წინადადება 12,6 ათასი ტონა ლითონის ეკონომიის თაობაზე. 1981 წელს და მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე გამოვლინდა 5,5 ათასი ტონა ლითონის არასწორი ხარჯვა, აქედან 2,3 ათასი ტონა დაიზოგა.

აღნიშნული და სხვა ეკონომიკური და საინჟინრო-საკონტროლო სამუშაოების შესრულების შედეგად მეათე ხუთწლეულში მშენებლობებისა და ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 66,4 მილიონი მანეთით, ხოლო 1981 წელს და მიმდინარე წლის 9 თვეში 17,0 მილიონი მანეთით შეიტანრდა.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ბანკის მიერ მშენებლობაში საბანკო დოკუმეთის დანაკარგების, უეკარათთდ გამოყენების, წამატებებისა და თვალის აუვეის ფაქტების წინააღმდეგ. მეათე ხუთწლედში 1265.77 მილიონი მანეთი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხიანი აზომვათა შედეგად გამოვლინდა შესრულებულ სამუშაოებზე 16,1 მილიონი მანეთის წამატებანი. 1981 წელს შემოწმდა მშენებლობები და ობიექტები, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა 260 მილიონ მანეთს შეადგენს, და გამოვლინდა 2098 ათასი მანეთის წამატებანი. მარტო მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე საკონტროლო აზომვათა შედეგად გამოვლენილმა წამატებებმა 1077 ათასი მანეთი შეადგინა.

გარდა სბანკო ეფექტიანობა, გეგმის შესრულების ანგარიშგებაში წაანალებათა და სხვა დამახინჯებათა ფაქტები სანაადო რეგიონებისათვის გადაეცა რესპუბლიკის სახალხო კონტროლისა და პროკურატურის ორგანოებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მშენებლობაში რესპუბლიკური კომიტეტი ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხებზე ეკონომიკის ინსტიტუტთან ერთად ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტ-ეკონომიკურ-მათემატიკურ ინსტიტუტ-ეკონომიკურ-ინფორმაციულ ინსტიტუტ-ეკონომიკურ-ინფორმაციულ ინსტიტუტ-ეკონომიკურ-ინფორმაციულ